ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავება

სხდომის ოქმი

N2

ქ. სენაკი 22 სექტემბერი 2020 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ლევან კუპრეიშვილი - მუნიციპალიტეტის მერი;

გრიგოლ ბაღათურია - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე;

ნანა ზარანდია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

რამაზ კუპრეიშვილი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;

ჯულიეტა ჩოჩია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

მარინე კვარჭაია - ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი, LED ოფიცერი;

ნონა ქადარია - ა(ა)იპ სენაკის სათემო განათლების ცენტრის დირექტორი, ჯგუფის წევრი;

გიორგი ხარგელია - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სენაკის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო - საკონსულტაციო სამსახურის უფროსი;

ნოდარი ხარჩილავა - ინდივიდუალური მეწარმე;

სერგო ლაშქარავა - შპს „კედა“;

გოგა ადამია - შპს „ვაგო“;

გიორგი გაბედავა - შპს „ნოჩიოლა ჯორჯია“

დათო ადამია - შპს „დაგი“.

სხდომას თავმჯდომარეობდა მუნიციპალიტეტის მერი - ლევანი კუპრეიშვილი;

სხდომის მდივნობა დაევალა მუნიციპალიტეტის LEDO მარინე კვარჭაიას.

დღის წესრიგი:

1. ეკონომიკური განვითარების შემუშავებული გეგმის პროექტის წარდგენა და დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ, მუნიციპალიტეტის მერმა და LEDO-მ მარინე კვარჭაიამ სხდომის წევრებს განუმარტეს, რომ არსებული პროექტის განვითარების მიზნით 2020 წლის 7 სექტემბერს ჩატარებული იქნა ადგილობრივი ეკონომიკური გეგმის შემუშავებისთვის შექმნილი მუშა ჯგუფის სხდომა. ჩატარებული სხდომის შედეგად მუშა ჯგუფს განესაზღვრა განეხორციელებინა მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური (ბიზნეს სექტორების) იდენტიფიცირება და პოტენციალის გაანალიზება. აგრეთვე განისაზღვრა ბიზნეს ოპერატორებთან და დონორ ორგანიზაციებთან შეხვედრების ჩატარება, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შედეგად ეკონომიკური განვითარების გეგმის პროექტის შემუშავება, დამტკიცება და წარდგენა პარტნიორი ევროკავშირის ორგანიზაციისათვის.

აღნიშნული პროექტის საფუძველზე მუშა ჯგუფის მიერ განხორციელებული იქნა ბიზნესსექტორის იდენტიფიცირება, ეკონომიკური პოტენციალის გაანალიზება, შეხვედრების ჩატარების უზრუნველყოფა, რომლის საფუძველზე მომზადებულ და წარმოდგენილ იქნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის პროექტი.

LEDO-ს მიერ განხორციელდა წარმოდგენილი ეკონომიკური განვითარების გეგმის პრეზენტაცია. სხდომის წევრებმა აღნიშნეს, რომ გეგმა სრულად ასახავს მუნიციპალიტეტში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას და მასში მითითებული ანალიზი და ეკონომიკური განვითარების პოტენციალი სრულად შეესაბამება იმ მიზნებს, რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისთვის.

სხდომაზე დამსწრე ჯგუფის წევრთა მიერ ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა არსებული რედაქციის შესაბამისად დამტკიცებისა და მისი დონორი ორგანიზაციის - ევროკავშირისათვის წარდგენის შესახებ.

სხდომის ოქმს ერთვის: სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა.

მუნიციპალიტეტის მერი, სხდომის თავმჯდომარე ლევან კუპრეიშვილი

სხდომის მდივანი მ. კვარჭაია